

„პარაფირებული“ საქართველო

01/12/2013

„მე ქართველი ვარ, მაშასადამე - ევროპელი!“ - თანაც კოჰაბიტორებული, პარაფირებული!

მაინც რამდენი ახალი სიტყვა ვისწავლეთ დამოუკიდებლობის წლებში. უსმენ ჩვენს „პოლიტიკოსებს“ და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს - თითქოს ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ არ გესმის. კეკლუცობენ უცხო სიტყვებით, უფრო სწორად, ჟონგლიორობენ, რომ მსმენელმა ვერაფერი გაიგოს, თუმცა გასაგებიც არაფერია, თვითონაც არ იციან, რას ლაპარაკობენ.

ლაპარაკობენ იმიტომ, რომ უნდა ილაპარაკონ, რაც უფრო დიდხანს, მით უკეთესი, ეკრანზე დიდხანს იქნებიან, ბრძნული გამომეტყველებით. ის, რომ ხალხის დიდ ნაწილს არ ესმის, რაზე ლაპარაკობენ, მათ არ აწუხებთ - ისწავლიანო - ფიქრობენ. ძველ ანეკდოტს ჰგავს ყოველივე ეს - ერთი მეორეს ეკითხება: ასოციაცია რას ნიშნავსო. „ბრძენი“ მეორე პასუხობს - „ასო“ ვიცი რა არის, მაგრამ „ციაცია“ ალბათ ყ-რები იქნებაო.

ასე მარტივად რომ იყოს ჩვენი საქმე, რა გვიჭირს. „პარაფირების“ მნიშვნელობა კი აგვიხსნეს ჩვენმა „ბრძენმა“ ახალგაზრდა „ბელადებმა“, მაგრამ ის აღარ გვითხრეს, რა დატვირთვას ატარებს ის. ვერც ის გვითხრეს, რას წარმოადგენს „ის“, რასაც „პარაფირება“ გაუკეთეს. ერთი სიტყვით, პარაფირება კი გაუკეთეს, ანუ ხელი მოაწერეს ყველა გვერდს, დასტურად იმისა, რომ ტექსტს გაეცნენ. მაგრამ გაეცნენ თუ არა, არავინ უწყის.

გავეცანითო, ამბობენ - გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. ასეთია ნაქები დასავლეთის ნაქები დემოკრატია. რუსული გამოთქმისა არ იყოს - შემოგვაჩერეს „კატა ტომარაში“. არადა კაცმა რომ თქვას, ინგლისურ ენაზე, თანაც სპეციფიკური, იურიდიული ტექსტის გაცნობა, ათას გვერდიანის, სახუმარო საქმეა?

ხელისუფლებამ იყიდა „კატა ტომარაში“, რა ენაღვლება. მისგან რა მიდის. ხალხმა იკითხოს, ვის ზურგზეც გადაივლის „პარაფირებული“ ტექსტის სიმძიმე.

ხელისუფალთა უპასუხისმგებლობა, საერთაშორისო იურიდიულ ტექსტებთან მიმართებაში, საზოგადოებამ არაერთხელ იწვნია. ერთ-ერთი ერთგვერდიანი სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ტექსტი იყო, რომელიც ვერა და ვერ ამოხსნა ჩვენმა „მამა-მარჩენალმა“ და მსუყე ხაზი გადაუსვა პუნქტს, რომელმაც დააქცია საქართველო, დაანგრია მისი ტერიტორიული მთლიანობა. მას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის გარკვევისთვის მოლაპარაკების დაწყება ტრაგედიად მოეჩვენა და ამოშალა.

არადა, რომ არ ამოეშალა, ისინი დღესაც საქართველოს შემადგენლობაში იქნებოდნენ, იურიდიულად და არა ფაქტობრივად, მაგრამ მაინც. და თუ სტატუსის განხილვა განსწავლული კადრებით მოხდებოდა, შესაძლოა - ფაქტობრივადაც.

და ეს ყველაფერი ერთი გვერდის „სიღრმისეული“ გაცნობის შემთხვევაში. აქ კი, 1000 გვერდიან ინგლისურ ტექსტთან გვაქვს საქმე. მავანი შემედავება - ჩვენმა ყმაწვილმა გოგო-ბიჭებმა მთავრობიდან ხომ კარგად იციან ინგლისური ენაო. იციან, სატლიკინო, მაგრამ არა ტერმინოლოგიური. ამ უკანასკნელს ჩაჯდომა, სწავლა სჭირდება, მაგრამ როდის? როდისღა მოასწრებ, როდესაც თინეიჯერულ ასაკში მინისტრის თუ არა მოადგილის, დეპარტამენტის უფროსის თანამდებობა გიხმობს?

და კიდევ ერთი რამ, „უმნიშვნელო“, მაგრამ მნიშვნელოვანი. ევროკავშირის წესის მიხედვით, ფართო საზოგადოებამ ანუ ხალხმა ტექსტის შესახებ პარაფირების შემდეგ უნდა გაიგოს. ამაშიც იყო რაღაც „შეღავათის“ გაწევის მსგავსი - ამას, ქართველები რომ ხართ, იმიტომ გიკეთებთ, თორემ სხვები რომ იყოთ, ნურას უკაცრავადო. რამდენად შეესაბამება ქართული მედიის მიერ მოწოდებული ეს დაყვედრება სინამდვილეს - ღმერთმა იცის.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, რა იქნებოდა, ხელმოწერამდე ხალხი რომ გაცნობოდა ტექსტს? არც არაფერი, ვინაიდან ინგლისურის არაშესაბამის დონეზე ცოდნა შესაძლებლობას არ მოგვცემდა ჩაწვდომოდით თითო სიტყვის არსს, რაც აუცილებელია მსგავსი დოკუმენტის საფუძვლიანი გაგებისთვის. ვინც გაიგებდა, იჟივჟივებდა და ბოლოს მაინც ამ ჟივჟივში ხელისუფლება გაიმარჯვებდა - თქვენ კარგად ვერ კითხულობთ ტექსტსო, იტყოდა.

გახსოვთ ალბათ ტალიავინის ტექსტით გამოწვეული ჟივჟივი ქართულ ტელევიზიებში. ისიც გემახსოვრებათ, მაშინდელი მინისტრი იაკობაშვილი რა დაბეჯითებით და თავხედურად აწვებოდა ოპონენტებს, შესაბამისად ხალხს - თქვენ რომ კითხულობთ - პირველად საქართველომ გაისროლა - ასე არ არისო. ტალიავინი ამას არ გულისხმობსო.

რაღა მოლოტოვ-რიბენტროპის საიდუმლო პაქტი და რაღა ევროკავშირის მიერ შეთხზულ დოკუმენტზე ხელის მოწერა. რამდენი ათეული წელი გალია კაცობრიობამ, მათ შორის ევროპამ იმ პაქტიდან დღემდე, მაგრამ გრიფი „საიდუმლო“ ვერ გადალახა. არადა მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტი რომ დროებითი და არა სამარადისო იყო, ორივე ხელმომწერმა იცოდა, რასაც წერს თავის მოგონებებში უინსტონ ჩერჩილი.

ევროკავშირის დოკუმენტი ხომ დროებითი არ არის? როგორც ბრიუსელი და თბილისი აცხადებს - სამარადისოა. და როდესაც სამარადისოა, ვისთვისაც ეს კეთდება ანუ ქვეყნისა და ხალხისთვის ცნობილი უნდა იყოს - წინასწარ!

უკრაინა, რომელმაც პარაფირება კარგა ხნის წინათ მოახდინა, მიხვდა, რომ საქმე არც ისეა, როგორც ბრიუსელი ქადაგებს. „უკრაინისთვის შეურაცხმყოფელია 600 მილიონი ევროს დახმარების შემოთავაზება“, - თქვა ვილნიუსის სამიტის მონაწილე უკრაინის პრეზიდენტმა იანუკოვიჩმა.

საქართველო იმიტომ არის მოხიბლული ევროკავშირით, რომ დემოკრატიულად მიიჩნევს მას. განვლილმა დღეებმა დაგვანახა, რომ არც ისეა საქმე, როგორც გვეგონა. ჯერ ერთი დემოკრატიულმა კავშირმა წინასწარ, სახალხოდ უნდა წარმოადგინოს ასოცირებული წევრობის ხელშეკრულების ტექსტი, სადაც მარტო ის კი არ უნდა იყოს აღნიშნული, შესვლის მსურველმა ქვეყანამ რა უნდა გააკეთოს, არამედ ისიც, ევროკავშირი რას გააკეთებს მასთან მიმართებაში.

უკრაინისთვის მიუღებელია ტექსტის მბრძანებლური კილო - ბრძანა იანუკოვიჩმა. ის მართალია. ნებისმიერი თავმოყვარე ქვეყანა არ უნდა იტანდეს სხვისი მხრიდან თითის ქნევას და მენტორულ ტონს. ჩვენ ეს უკვე გავიარეთ, მაგრამ როგორც ჩანს ის მონაგონია ევროკავშირთან შედარებით. და რომ მონაგონია, კარგად ჩანს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების განწყობიდან. სწორედ ვილნიუსის სამიტის დღეებში, ევროკავშირის წევრმა დიდმა ბრიტანეთმა, პარლამენტის სხდომაზე, მიიღო გადაწყვეტილება 2017 წელს რეფერენდუმის ჩატარებასთან დაკავშირებით. თემა - ევროკავშირში ყოფნა-არყოფნა.

რახანია ბრიტანეთის პარტიები დაბეჯითებით მოითხოვენ ევროკავშირიდან გამოსვლას, ვინაიდან მათი აზრით, ქვეყანა, იქ ყოფნით, კარგავს სუვერენიტეტს, თვითმყოფადობას. რატომ უნდა გადაწყვიტოს ბრიუსელელმა მოხელემ ჩვენი საშინაო საკითხებიო? რატომ უნდა აფათურებდნენ ხელს ისინი ჩვენს საქმეებშიო? - ამბობენ პარტიები.

დიდ ბრიტანელ პოლიტიკოსებს არც ფრანგი მემარჯვენეები ჩამორჩებიან. მარინ ლე პენი რახანია კატეგორიულად ითხოვს საფრანგეთის ევროკავშირიდან გამოსვლას. ეს პოლიტიკოსი მალე ევროპარლამენტის წევრიც გახდება და დარწმუნებული ვარ, მსგავსი იდეების მატარებელ სხვა ქვეყნების პარლამენტარებთან ერთად, ასეთები ბევრია, ისეთ საქმიანობას გააჩაღებს, თანაც ევროკავშირის შიგნით, ამ ორგანიზაციას კარგი ნამდვილად არ დაადგება.

უკმაყოფილებას იწვევს ბევრი რამ - სუვერენიტეტის დაკარგვიდან დაწყებული, თითო-ოროლა ქვეყნის დიქტატით, ორგანიზაციის მოუქნელი მუშაობით, ეკონომიკურ-საფინანსო კრიზისით, უმუშევრობით, მრავალი სხვა ნეგატიური ასპექტით დამთავრებული. დემოკრატიულ კავშირში, რომ გერმანიის პირველობა სახეზეა, ფაქტია. ამიტომაცაა, მის მიმართ „თბილი“ დამოკიდებულება კრიზისით მოცულ ესპანეთში, პორტუგალიაში, საბერძნეთში, იტალიაში, სხვაგან.

„დემოკრატიულ“ ევროკავშირში ზემოთჩამოთვლილი ქვეყნები მეორეხარისხოვნად ითვლებიან, რომ აღარაფერი ვთქვათ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებზე - ბულგარეთზე, პოლონეთზე, რუმინეთზე, ბალტიისპირა ქვეყნებზე, სხვებზე.

კარგად ვიცი (პირადი საუბრებიდან) აღნიშნული ქვეყნების მოქალაქეთა განწყობა ევროკავშირის მიმართ. ბევრი მათგანი წარსულ ცხოვრებას მისტირის, საწარმოებსა და ქარხნებს, რომლებიც დაიხურა. სატელევიზიო ინტერვიუს დროს პოლონეთის პრეზიდენტმა ლეჰ ვალესამ, პოლონეთის რევოლუციის გმირმა, განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობების გაწყვეტამ პოლონეთის მრეწველობის 70% გააჩერა.

სწორედ ამის გამო დაამუხრუჭა უკრაინამ. მისი ეკონომიკა ისეა ინტეგრირებული რუსეთთან, კომპენსაცია ევროკავშირის მხრიდან შეუძლებელია. უხეში, წინასწარი მონაცემებით უკრაინას 170 მილიარდი ევრო დასჭირდება რუსეთთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ. კრიზისში მყოფ ევროკავშირს მსგავსი დახმარების გაწევა არ შეუძლია. დიდი-დიდი მილიარდ ნახევარი ევროს, ისიც 7 წლის განმავლობაში.

ევროკავშირი, რომელიც ეკონომიკური კავშირისგან კარგა ხანია პოლიტიკურ კავშირად ქცეული, ნაკლებად ღელავს პრობლემებზე, რომლებიც უდავოდ, შეექმნება უკრაინას. იქნებ ალელვებს და იმიტომაც აწვება უკრაინას ესოდენ „დემოკრატიულად“.

რა გამოდის? რუსეთიდან ჩამოშორებული და ევროკავშირში ასოცირებულ წევრად შესული უკრაინა კარგავს ქარხნებს, საწარმოებს და აქედან გამომდინარე მუშახელის დასაქმებას. იზრდება უმუშევრობა, სოციალური უკმაყოფილება. ხალხი ქუჩაში გამოდის და ამხობს იანუკოვიჩის ხელისუფლებას. ციხიდან გამოდის „ნარინჯისფერი“ რევოლუციის გმირი ტიმოშენკო, რომელიც ციხეში უშვებს იანუკოვიჩს.

სცენარი ისეთია, ბრიუსელს რომ წაადგება. მას არ მოსწონს იანუკოვიჩი. მოსწონს ტიმოშენკო, ამიტომაც დასვა საკითხი ასეთ ჭრილში - უკრაინა გახდება ასოცირებული წევრი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტიმოშენკო გამოვა ციხიდან და ჩაერთვება პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ბრალდება, რომელიც ტიმოშენკოს აქვს წაყენებული, ყველა ნორმალურ ქვეყანას უნდა აფიქრებდეს, მითუმეტეს ქვეყნების კავშირს, თანაც დემოკრატიულად აღქმულს. მაგრამ არა - ამ შემთხვევაში „ჩვენი ძალღიშვილობა“ მთავარი და არა კორუფციონერობა, კრიმინალობა. „დემოკრატიულმა“ ევროკავშირმა, რომელმაც

უკრაინის ხელების გრეხვით, ვერაფერს მიაღწია, ბოლოს დაყვავებაზე გადავიდა - ოღონდ ხელი მოაწერეთ და იულიას დედაცო.

ასეთია ევროკავშირული დემოკრატია. ჩვენ არ ვერევიტ უკრაინის საშინაო საქმეებშიო - აცხადებდნენ ევროკავშირელი პოლიტიკოსები. არც ზეწოლას ვახორციელებთო. კეთილი, მაგრამ რა შეიძლება დაერქვას ევროკავშირელი ემისრების კვასნევსკისა და კოქსის 27 ვიზიტს კიევში ან ფულეს პერმანენტულ წინ და უკან მოგზაურობას ან ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარის „მგზნებარე“ სიტყვას - კიევის მომიტინგეებთან ან მოწოდებებს მიტინგისკენ, სისტემატურად რომ ჰქონდა ადგილი, ან მომიტინგეთა დაფინანსებას?

მასპინძელი რომ ძალით მიგათრევს სახლში, მასპინძლობა აღარ ქვია. ეს უფრო გაუპატიურების მცდელობაა.

ამ ისტორიაში მთლად მართალი არც უკრაინაა. ნაცვლად ბრიუსელ-მოსკოვთან ვაჭრობისა, დროულად უნდა აეწონ-დაეწონა შესვლა-არშესვლის საკითხი და თავიდანვე განეცხადებინა ის, რაც ვილნუსის სამიტის წინ თქვა. არც მომიტინგეები გაჩნდებოდნენ და არც ახალგაზრდობა იყვირებდა - „უკრაინა ევროპა“.

მომიტინგეები აცხადებენ, რომ მათაც ისე სურთ ცხოვრება, როგორც ევროპელებს. არადა იქაური ცხოვრება რომ ისეთი მომხიბლავი ვეღარაა, როგორც წინათ, გაგონება არ სურთ.

ევროპული ფასადი იზიდავს ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს, რაც არ არის გასაკვირი. დასუფთავებული ქუჩები, გამართული საქალაქო ტრანსპორტი - ზუსტ გრაფიკში ჩამჯდარი, ყურადღებიანი, კვალიფიციური მოპყრობა საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, სუფთად ჩაცმული, თავაზიანი ტაქსის მძღოლები და ა.შ. მაგრამ ყოველივე ამისთვის საჭიროა ისეთ კავშირში შესვლა, საკუთარი „მეს“ დაკარგვით ინგლისსაც რომ ემუქრება?

მცდარია იმაზე ფიქრი, რომ ევროკავშირში შესვლით, ჩვენთან ევროკავშირელი ჩამოვა და ქუჩებს დაგვიგვის, კანონს გაგვიკეთებს, ჩვენს მაგივრად იმუშავენ და ა.შ. ჩვენ კი ევროპის ქვეყნებში უვიზოდ ვინებივრებთ, ვიმარიაჟებთ, მოკლედ გავაკეთებთ იმას, რაც მოგვეპრიანება. ასე იფიქრეს ახალგაზრდა ძიუდოისტებმა იაპონიაში და სამარცხვინოდ გამოაძევეს.

ჩვენ, ჩვენი ქცევით, შრომისმოყვარეობით, წესრიგით, კანონისადმი პატივისცემით აშკარად შორს ვართ ევროკავშირისგან. ევროპელი ამას ვერ გვასწავლის, ვინაიდან ეს ისეთი თვისებებია, რომელიც სახლში და სკოლაში აღზრდიდან იწყება და მთელი ცხოვრება გრძელდება - სიკვდილამდე.

ამას წინათ, სუპერმარკეტ „გუდვილში“ ყურადღება მიიპყრო ორი ქართველი ქუჩის ოპოზიციონერის ხმამაღალმა ლაპარაკმა, რომელიც გამიზნული იყო მხოლოდ ყურადღების მისაპყრობად. შესაბამისი პროდუქტის აღემის შემდეგ ორივენი დიპლომატთა სალაროს მიადგნენ, თუმცა დანარჩენ სალაროებთან ხალვათობა იყო. იკადრებს ამას ევროპელი?

ხალხმა არ იცის, სად შევდივართ, მხოლოდ იმიტომ, რომ პოლიტიკურ ელიტას ასე სურს, საკუთარი ბედნიერებისთვის. ჩვენი საქონელი გაიყიდებაო ევროპაში - ამბობს ის, მაგრამ არ აკონკრეტებს, რა. ის საქონელი ხომ არა, რომლის მწარმოებელი ქარხანა, ჩანასახშიც რომ არ არის? ინვესტიციებს ჩადებენ, ქარხნებს აგვიშენებენო. კეთილი, მაგრამ რა უშლიდათ ხელს 20 წლის განმავლობაში?

პარაფირება ასოცირებულ წევრობას არ ნიშნავს, ასოცირებული წევრობა კი - წევრობას. თურქეთი 1962 წლიდან არის ასოცირებული წევრი, მაგრამ გაწევრებას ვერ ეღირსა. ისინი თურქები არიან, ჩვენ - „მაგარი“ ქართველები. ახალი სატყუარა გადმოგვიგდო ხელისუფლებამ, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში გვეყოფა.

და მაინც, ვინ და რატომ მოიგონა აღმოსავლეთის პარტნიორობა? აშშ-ა და მისმა მოკავშირე ევროკავშირმა რუსეთის საწინააღმდეგოდ. არ გამოვიდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოვება, რუსეთის მტკიცე პოზიციის გამო. ნაცვლად ამისა, გადაწყვიტეს ეკონომიკით მოხიზლვა. ეს გეგმა უფრო მეტად პოლიტიკურია, ვიდრე ეკონომიკური. დასავლეთი უწინდებურად აგრძელებს კულუარულ ომს რუსეთთან, მისი დასუსტების და დაქუცმაცებისთვის. სამწუხაროდ, ჩვენ, ჩვენი უთავობით, გაჩხერილი ვართ ორთა ჭიდილსშუა.

„ადამიანის მთელი სიცოცხლე, დაბადებიდან სიკვდილამდე, ბედნიერებისკენ სწრაფვს. ყველას სურს ბედნიერი იყოს, და არ არსებობს უფრო მძაფრი, უფრო უძლები სურვილი. ყველანი ვირჩევთ მხოლოდ იმ გზას, რომელიც ბედნიერებისკენ მიგვიძღვის და ხალისით აღვსილთ საგზლად მიგვაქვს ერთადერთი საზრდო - იმედი. მაგრამ იწყება მგზავრობა, თანდათანობით უკან გვრჩება, იღვევა გზა და მასთან ერთად, ჩვენი იმედიც, რადგან ის, რასაც გზაში ვხვდებით, ყველაფერია, ბედნიერების გარდა. უკან მიხედვასაც ვერ ვასწრებთ, რომ გაზაფხულის სიმწვანეს, სილალეს და სიკისკასეს შემოდგომის სიყვითლე, ჭკნობა და დაღლილობა ცვლის და ბოლოს თავადაც დამჭკნარნი, დაღლილ-დაქანცულნი და გამოფიტულნი სამსხვერპლო ზვარაკივით ვიჩოქებთ გზის პირას, რათა სათითაოდ შევემატოთ ჩვენსავე უნუგემოთა და უსასოთა საკრებულოს - პესიმისტთა მსოფლიო ძმობას. რატომ მოხდა ეს? დილა, ისეთი უღრუბლო იყო გზის დასაწყისი - ისეთი მომხიზლავი და მრავლის მთქმელი! პასუხი მარტივია: იმიტომ, რომ გზა შეგვეშალა! იმიტომ, რომ ბედნიერების ბილიკს კი არ ვადექით, არამედ ტკბობისა და

განცხრომის, ხოლო ტკბობა კი, არ ემთხვევა ბედნიერებას“ - პლატონი, „ადრეული დიალოგები“.

ვგონებ, კომენტარი ზედმეტია.

ჰამლეტ ჭიპაშვილი

ბრიუსელის პოლიტიკური ჭადრაკი გრძელდება

17/11/2013

ახლოვდება ვილნუსის სამიტი და კიდევ უფრო ინტენსიური ხდება საქართველოს პოლიტიკოსების თავდავიწყებული, დაბეჯითებული ლაპარაკი - ვილნუსის დოკუმენტის პარაფირების და არა მარტო პარაფირების, ევროკავშირში გაწევრების თაობაზე. შესაშური ოპტიმიზმი ახასიათებს ქართულ პოლიტიკას, რაც თავისთავად იძლევა მოსახლეობის გაბრუების შანსს.

პოლიტიკოსობა 20 წელიწადი ასმენინებს ხალხს ნატოში და ევროკავშირში შესვლის ზღაპარს და ისიც ცხვარივით ისმენს, თავჩაქინდრული, თავის საქმით გართული. ისმენს და აგრძელებს ცოხნას - შევალთ ხომ კარგი, არ შევალთ და მერე რაო.

საზოგადოებას არ ადარდებს ნატო-ევროკავშირი, მას თავისი პრობლემები აქვს. ვისაც ადარდებს - ხელისუფლებას, გუშინდელი, დღევანდელი, ხალხის ზრუნვაში „გადაქანცული“! ხელისუფლება, ხალხის სახელით აცხადებს - საქართველომ რახანია გადაწყვიტა ნატო-ევროკავშირში შესვლაო.

გადაწყვიტა ერთია, მაგრამ შესვლა, მეორე. პარაფირება, შესვლას არ ნიშნავს, არც ასოცირებული წევრობა, რომელსაც, კარგად მოქცევის შემთხვევაში, ერთი წლის შემდეგ გვიბოძებენ. ასოცირებული წევრობა, ისეთი რამ არის, როგორც ნატოსთვის „მაპი“ ან „მაპზე“ უკეთესი, მაგრამ წევრობა - არა. იქნებ გვეკითხა მეზობელი თურქეთისთვის, რა არის ევროკავშირის ასოცირებული წევრობა?

მრავალი წელიწადია თურქეთს წევრობას ჰპირდებიან, მაგრამ. . . ხან რას იგონებს ბრიუსელი და ხან რას. თურქეთი, ბოლოსდაბოლოს დაარწმუნეს, რომ მთელი რიგი პუნქტების მოგვარებაა საჭირო. ჰოდა, ყოველწლიურად მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ თურქეთისთვის მიცემული საშინაო დავალების შემოწმება.

ამჯერად, ანკარა ორი პუნქტის შესრულების თაობაზე აბარებს ბრიუსელს ანგარიშს. შესასრულებელი პუნქტების რაოდენობა არ მცირდება, პირიქით, რაც აღშფოთებას იწვევს თურქეთის ხელისუფლებაში, განსაკუთრებით პრემიერ-მინისტრ ერდოღანში. ამას, ხომ არ უნდა მიეწეროს თურქეთის განცხადება საბაჟო კავშირში შესვლასთან დაკავშირებით?

მაგრამ მართო თურქეთი რომ არ გამოთქვამს ასეთ სურვილს? საბაჟო კავშირში შესვლის წინადადებით ირანმა, ცენტრალური აზიის (ყაზახეთის გარდა, ის უკვე წევრია ამ ორგანიზაციის) ქვეყნებმა, ინდოეთმა, ვიეტნამმა, სხვებმაც მიმართეს მოსკოვს. საბაჟო კავშირი, ხოლო 2015 წლიდან ევრაზიული კავშირი, პერსპექტივის მატარებელ ორგანიზაციად იქმნება. და თუ ეს ორგანიზაცია ეფექტიანად ამოქმედდება, უაღრესად დიდ რეგიონს მოიცავს. შანხაის ორგანიზაციასთან ერთად მას შეეძლება კონკურენციის გაწევა ევროკავშირისთვის.

არის თუ არა საბაჟო კავშირის, შემდგომში ევრაზიული კავშირის საკითხის შესწავლა საჭირო? ნებისმიერი კავშირის ღრმა და არა ზერელე შესწავლა არათუ საჭირო, აუცილებელიცაა, მაგრამ ევრაზიული კავშირი რუსეთს და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს უკავშირდება, ამდენად საკითხის განხილვის პერსპექტივა ნულის ტოლია.

ხელისუფალთა მტკიცებით, საქართველო დასავლური ორიენტაციის მატარებელია და მას ვერაფერი შეცვლის. ერთხელ, ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა - ნატო და ევროკავშირი ჩვენი ოცნებააო და თუ ეს ორგანიზაციები აღარ იქნებიან, რაც პერსპექტივაში შესაძლებელია, სხვაგან შევალთო. ნუთუ ასე იოლია ერთი ბანაკიდან, მეორეში გადახტომა?! ბიზნესმენს ეპატიება. ის სხვაგვარად უდგება საჭირბოროტო პოლიტიკურ თემებს, მაგრამ პოლიტიკოსს - არა!

ვილნუსის სამიტზე განხორციელდება საქართველოს ევროკავშირზე „დანიშვნა“, ისე, როგორც ეს ქორწინების წინ, ნიშნობაზე ხდება, თუმცა „დანიშვნა“ უფრო ერთი წლის შემდგომ პროცედურას ანუ ასოცირებულ წევრობას მიესადაგება. „დანიშნული“ საქართველო კი მრავალი წლის განმავლობაში შეიძლება იყოს ამ პოზიციაში, ისე, როგორც თურქეთი. მავანი შემედავება, რით არიან საქართველოზე მეტი ბულგარეთი, რუმინეთი, ბალკანეთის ქვეყნები, ისინი ხომ რახანია ევროკავშირის წევრები არიანო.

აღნიშნული ქვეყნები, ჯერ ერთი - ევროპის კონტინენტზე არიან, მეორეც - მათი ცხოვრების დონის მიღწევამდე საქართველოს მრავალი წელიწადი დასჭირდება. სხვა არის ბულგარელებისა და რუმინელების მენტალიტეტიც. მათ იციან, რა არის შრომა, იციან რომ სამსახურის გაცდენა მძიმედ დაუჯდებათ. იციან,

რომ დაკისრებული მოვალეობა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ და არ უნდა „წასამშაბათონ“, რასაც სისტემატურად აქვს აქ ადგილი.

საბჭოთა სისტემის დროს არაერთხელ მქონდა შესაძლებლობა გავცნობოდი ამ ქვეყნებს, მათ ცხოვრებას, ზღვისპირა კურორტებს, სადაც თავს იყრიდა მთელი ევროპის ტურისტები. ბევრის მნახველმა ერთმა უნგრელმა ტურისტმა, რუმინეთის ტურისტული კომპლექსების „სატურნის“, „ვენერას“, „მარსის“, „ეიფორიის“ და სხვათა მონახულების შემდეგ გულახდილად მითხრა - არაფრით ჩამოუვარდება ესპანეთის, საფრანგეთის, აშშ-ს ზღვისპირა კურორტებსო.

სოფიაში, ღამით გასეირნების დროს, ჩემი ყურადღება მიიპყრო მოედნისა და მიმდებარე ქუჩების სარეცხი ფხვნილითა და წყლით ხეხვამ, არადა დაუსუფთავებელ ქუჩასაც წუნს ვერ დავდებდი. პატარა ნიუანსია, მაგრამ მიმანიშნებელი დავალებული სამუშაოს პირნათლად შესრულებაზე.

კიდევ ერთი მაგალითი. საბჭოთა კავშირის ჟამს აშენდა გუდაურის სასტუმრო „მარკო პოლო“. ჩემი მეგობარი ინჟინრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მშენებლობის ხელმძღვანელმა ავსტრიელმა ქვიშის გაცრა მოსთხოვა მათ. ქვიშა სუფთა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეტონი მტკიცე არ იქნებაო, - ამბობდა ავსტრიელი.

სასტუმროს გახსნის ცერემონიალის წინაღამით, სასტუმროს ქართველი დირექტორის ყურადღება მიიპყრო რესტორნის დარბაზში შუქმა, როდესაც შეიხედა, დაინახა სასტუმროს გერმანელი ადმინისტრატორი ქალი, რომელიც იატაკს აპრიალებდა. გაოცებულ დირექტორს ქალბატონმა მიუგო - ხვალ გახსნაა, სტუმრები რესტორანში შემოვლენ, რაღაც არ მომეწონა იატაკის სიპრიალე და გადავწყვიტე ჩემებურად გამეპრიალებინაო. არადა სასტუმროს ადმინისტრატორს არაფერი ესაქმებოდა რესტორნის იატაკთან, გარდა ერთისა - საერთო საქმე.

როდესაც იტალიის ერთ-ერთი ქალაქის მერი, სამუშაოდან თავისუფალ დროს, ქუჩას ასუფთავებს, საქმის სიყვარულია და არა „პიარი“, რასაც ხშირად მიმართავენ თბილისის მერიის ბოზოლები.

იქ, იმ დალოცვილ ევროკავშირში სხვა მენტალიტეტია, სხვანაირი მიდგომა საერთო საქმისადმი და არა ისეთი ფეოდალური, როგორც ჩვენში. ვინმე წარმოიდგენს კოლეგა თანამშრომლის წინა ღამით ნაქეიფარი სახის ყურებას?! მითუმეტეს კუჭიდან ამოსული ალკოჰოლის „სურნელს“ აიტანს ვინმე? არასდროს შეხვედრივარ ნაბახუსევის მიერ ჰაერგაჟღენთილ ავტობუსს - იქ, აქ თითქმის ყოველდღე.

თითქოს უმნიშვნელო რამაა, მაგრამ მნიშვნელოვანი. ნახავთ სადმე ევროპაში მეპურე, რომ ცომს ზელდეს პირში სიგარეტგაჩრილი ან ხელით გაძლევდეთ პურს? აქ ტრადიციადაა ქცეული თონიდან ამოღებული პურის ძველი გაზეთის ნაგლეჯში შეხვევა, რა მოხდაო? ვამბობთ ჩვენ. არც არაფერი, მაგრამ ასეთნი მიუღებელი ვიქნებით ევროპისთვის.

გინახავთ ვინმეს იმ დალოცვილ ევროპის სუპერმარკეტში დახლზე დადებულ ძეხვს ფასი არ ეწეროს? მე, პირადად არ მინახავს. აქ კი, ასეთს ხშირად წააწყდებით, უფრო მეტსაც, როდესაც „სუპერმარკეტის“ თანამშრომლებმა არ იციან საქონლის ფასი - „არ ვიცი და სხვა იყიდეთო“, - უმაღ გეტყვიან.

წვრილმანია, მაგრამ მნიშვნელოვანი, დამახასიათებელი ზერელე საზოგადოებისთვის. ზერელეობა და ევროკავშირი შორსაა ერთმანეთისგან. წვრილმანი საქმეებიდან იქმნება მსხვილმანი, საქვეყნო საქმეები.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ევროკავშირში შესულები, დღესაც დიდი თავსატკივარია ძველი ევროპისთვის, ისე, როგორც აღმოსავლეთი გერმანია, სოციალისტური ბანაკის ეტალონი, დასავლეთ გერმანიისთვის.

შრომის სწავლა უმაღლესიდან არ იწყება, სკოლიდან იწყება. სამწუხაროდ, იმ ახალგაზრდებს, ვინც ევროკავშირს გვპირდება, უცხოეთის სასწავლებლებში გავლილი ხანმოკლე კურსები, განათლება ჰგონიათ. მსგავსი „განათლების“ მქონე ახალგაზრდობამ ჩაანაცვლა (ცხადია ძალისმიერად) პროფესიონალი კადრები. შეხვალთ მათ კაბინეტებში და უმაღ იხილავთ კედელზე ჩამოკიდებულ, ჩარჩოში ჩასმულ უცხოური დიპლომებისა და სერტიფიკატების ასლებს - „ჩემი თუ არ გჯერათ, ამას დაუჯერეთო“, - უსიტყვოდ გეუბნებათ თავდაჯერებული ყმაწვილი.

მაინც, რატომ უნდა ხელისუფლებას ნატო-ევროკავშირში შესვლა? მარტივი მიზეზის გამო - ყველაფერს მათ დააბრალებს. მე რა ვქნა, ბრიუსელს ასე უნდაო - გვეტყვის უტუხად. ბრიუსელიდან დიდ დისტანციაზე მყოფი გვეუბნება და იქ შესული არა? ხელისუფლებას ჰგონია, რომ ევროკავშირში შესვლით მთელი პასუხისმგებლობა ბრიუსელს დაეკისრება, თვითონ კი განცხრომაში იქნება. იცის თუ არა ეს, ევროკავშირმა?

ცხადია, იცის, ამიტომაც აქვს დაწესებული გამოსაცდელი ვადა, რომელიც უსასრულობამდე შეიძლება გაგრძელდეს - კანონმდებლობის ჰარმონიზაციით, სასამართლო სისტემის დახვეწით, ადამიანის უფლებათა დაცვის (მათ შორის მამათმავალთა) მოთხოვნით, ევროკავშირის ქვეყნებში არაღეგალ ქართველთა სამშობლოში იძულებით დაბრუნებით, თურქი-მესხების ჩამოსახლების პროცესის ინტენსიფიკაციით, მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის აფხაზეთ-სამხრეთ-ოსეთთან ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბების მოწოდებით და სხვა.

თურქეთს არ შეუშვებენ ევროკავშირში, ვიდრე ჯარს არ გამოიყვანს კვიპროსიდან. არც ჩვენ შეგვიშვებენ ნატო-ევროკავშირში, ვიდრე არ მოვაწესრიგებთ ყოფილ ავტონომიებთან ურთიერთობებს.

აღნიშნული ორგანიზაციების წესდებაში არსად წერია, რომ ისინი ტერიტორიული მთლიანობის აღმდგენნი არიან. პირიქით, ისინი, როგორც კეთროვნებს ისე უყურებენ მსგავსი პრობლემების მქონე ქვეყნებს. ალბათ დადგება დრო, შესაძლოა ძალიან მალე, როდესაც ბრიუსელი გვეტყვის მიგიღებთ, მხოლოდ აფხაზეთ-სამხრეთ-ოსეთის გარეშეო. მინიშნებები კეთდება უკვე, რაც საყურადღებო უნდა იყოს. რას მოიმოქმედებს ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება? მაინც დაკარგული იყო, - იტყვის. თუ მსგავსი რამ 2008 წლის ომის შემდეგ გაჟღერდა, როდესაც ქვეყნის ტერიტორიის 20% დაიკარგა, დღეს რა შეუშლის ხელს?

მაშ, რატომ გვეპატიჟებიან ნატო-ევროკავშირი თავიანთ რიგებში? რბილად რომ ვთქვათ, გვატყუებენ, ტყუილით გვბერავენ. მიზანი? რომ არ გავიხედოთ ჩრდილოეთით, რომ არ შევიდეთ საბაჟო კავშირში, ევრაზიულ კავშირში. უღირს დასავლეთს ესოდენ უღირსი თამაში? ცხადია, უღირს. ის არა მარტო საქართველოს ეთამაშება, არამედ უკრაინას, მოლდოვას, ამიერკავკასიას, ბელორუსს.

ევროკავშირი მარტო ეკონომიკური კავშირი არ არის - პოლიტიკური კავშირიცაა, უფრო სწორად პოლიტიკურ-ეკონომიკური. მისი მიზანი, ისე, როგორც პარტნიორი აშშ-ს, რუსეთის მოთოვებაა, მისი პოზიციების შესუსტება. რუსეთი უნდა გადაიქცეს მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ, მხოლოდ წიაღისეულის ბელად. მას არ უნდა ჰქონდეს გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. ისინი უნდა მოწყდნენ რუსეთის ორბიტას.

აღმოსავლეთის პარტნიორობა ევროპა-აშშ გეგმის შემადგენელი ნაწილია. ამიტომაც მიმდინარეობს ბრიუსელის ბრძოლა უკრაინისთვის. უკრაინის რუსეთიდან ჩამოშორებით, დასავლეთი დაასუსტებს რუსეთს. დაასუსტებს უკრაინასაც, მაგრამ ეს უკვე უკრაინის ხელისუფლების თავსატეხი იქნება.

რუსეთიდან ჩამოშორებული უკრაინის ეკონომიკა რომ გაუარესდება - ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ სოციალური პრობლემებით შეწუხებული მოსახლეობა ქუჩაში გამოვა და დაამხობს იანუკოვიჩის ხელისუფლებას. იანუკოვიჩს დასავლეთში სამარეში არავინ ჩაჰყვება. გაუხარდებათ კიდეც. და ვინ იცის, იქნებ დასავლეთის სასურველი იულია ტიმოშენკოს მზეც ამბორწყინდეს!

აშშ-ი არ ივიწყებს თავის „გმირებს“, ფერადი ანტირუსული რევოლუციების შემოქმედთ. არც ნაცებს და მათ ბელადს დაივიწყებს. ყველაფერს იღონებს მათი გადარჩენისთვის.

დასავლეთის პოლიტიკური ჭადრაკი გრძელდება. ჯერ-ჯერობით ის იგებს. აიძულებს რუსეთს ხელი აიღოს მის დასავლეთში არსებულ სივრცეზე. რუსეთი გრძნობს შეტევას და თავის მხრივ ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, თან აღმოსავლეთისკენ იყურება, უკეთესი „მოსავლისთვის“.

აზია-წყნარი ოკეანის სივრცე, რახანია გამოცხადდა აშშ-ს მოჭარბებული ყურადღების ზონად. რუსეთმა აქაც დააგვიანა, თუმცა ბოლოდროინდელი პოლიტიკური ნაბიჯებით ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას. ამ მხრივ აღმოსავლეთის რკინიგზის რეკონსტრუქცია, რუსეთ-ჩრდილო და სამხრეთ კორეის რკინიგზის გაჭრა უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენა იქნება. პრეზიდენტ პუტინის ვიზიტმა ვიეტნამსა და სამხრეთ კორეაში წინ წამოსწია ისეთი საკითხი, როგორცაა ციმბირის, რუსეთის შორეული აღმოსავლეთის განვითარება, აღნიშნულ ქვეყნებთან, პლიუს იაპონიასა და ჩინეთთან მჭიდრო თანამშრომლობა.

რუსეთის წიაღისეული რესურსები მომხიბლველია ინვესტორისთვის, მთავარია მოსკოვის თანხმობა. თავისუფალი ეკონომიკური ზონა - აი, ის გზა, რომელმაც ჩინეთი ფეხზე დააყენა. ჩინური გამოცდილების გაზიარება, უდავოდ, ხელს შეუწყობს რუსეთის შორეული აღმოსავლეთის აღორძინებას. თავისუფალი ვაჭრობის შემოღებით რუსეთი აპირებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

სინანულით ვიხსენებ ჩინელი სპეციალისტების მიერ შემუშავებულ თავისუფალი ეკონომიკური ზონის კანონპროექტს, რომელიც ასლან აბაშიძის პირადი ინიციატივის ნაყოფი იყო და რახან მას სურდა ეს, ცხადია საქართველოს საკეთილდღეოდ, „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო უმრავლესობამ ჩააგდო კანონპროექტი. კანონის მიღების შემთხვევაში, ვინ იცის, როგორი ეკონომიკური ვითარება იქნებოდა საქართველოში?

კრემლის გეგმების განხორციელების შემთხვევაში, რამდენიმე წელიწადში სხვა რუსეთთან, სხვა ევრაზიულ კავშირთან გვექნება საქმე. ღირს ყოველივე ამაზე ხელის აღება, აბსტრაქტული ასოცირების სანაცვლოდ? საქართველოს იმ კავშირში უნდა ჰქონდეს საქმე, სადაც ჩვენს ნიჭს და გამოცდილებას ჯეროვნად დააფასებენ, სადაც ჯერაც მიგვესვლება სხვებთან თანაბრად და არა მესამეხარისხოვნად, რასაც ევროკავშირის ასოცირებული წევრობა გვპირდება.

აშშ-ს ახალ თამაშში ირანის ჩართვის პერსპექტივები

12/11/2013

ჩვენ ისე ვართ გართული საქართველოს შიდა პოლიტიკით, რომ აინურშიაც არ ვაგდებთ ჩვენი ქვეყნის ახლომდებარე სივრცეში მიმდინარე პროცესებს. არადა, რა უნდა ქნას მოსახლეობამ, როდესაც ხელისუფალთა მინიშნებით მედია, ბეჭდური თუ ელექტრონული, მხოლოდ ერთ „კერძს“ სთავაზობს - ნატოსა და ევროკავშირში შესვლის?

ნატო და ევროკავშირი კარგია, მაგრამ ისეთი შორეული, რომ მსგავსი აჟიოტაჟი ნამდვილად არ ღირს. გარდა ამისა, არავინ იცის, რამდენად კარგია ნატო ან რას მოუტანს ის ქვეყანას. ზედაპირული ახსნა-განმარტება, რომელიც გვესმის, უფრო ლოზუნგებს წააგავს, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ არც ნატოში, მითუმეტეს ევროკავშირში არსებულ ვითარებასთან.

თითქმის ოცი წელიწადია ხელისუფლება სატყუარა საკენკს გვიყრის ამ ორ ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით, რაც მიზანმიმართულად ხდება. ავტორი მისი დასავლეთია, კერძოდ აშშ-ი, რომლის მიზანი იყო, არის და იქნება საკუთარი პირველობისთვის ბრძოლა, მოპოვებული მსოფლიო ჰეგემონიზმის განმტკიცება და ამ გზაზე მეტოქეების დაჯაბნვა - განეიტრალება, მათი ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანა, ერთი სიტყვით, ისეთი პირობების შექმნა - მეტოქემ რომ მუდამ მეორეხარისხოვან საკითხებზე იფიქროს და არა მსოფლიოში ან რეგიონში პოზიციების განმტკიცებაზე.

აშშ-ი მეტოქეებად რუსეთსა და ჩინეთს მიიჩნევს. ამ ქვეყნების რესურსები, როგორც წიაღისეული, ისე ადამიანური იძლევა უკეთესი განვითარების პერსპექტივას. განვითარებული ქვეყნები, მითუმეტეს სამხედრო ინდუსტრიის თვალსაზრისით, საშიშია ვაშინგტონისთვის.

ორივე ქვეყანასთან აშშ-ს თითქოს კონსტრუქციული ურთიერთობა აქვს, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან გლობალიზაცია მოითხოვს ამას, თუმცა რა ხდება კულისებში - გასათვალისწინებელია. კულისებში კი მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა საკუთარი პოზიციების ისეთი განმტკიცებისთვის, რომ სხვამ ვერ შეეძლოს მყარი პლაცდარმის შექმნა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აშშ-ს ადმინისტრაციამ რუსეთის დასუსტების ახალი გეგმა შეიმუშავა. მიზანი იყო ამ ქვეყნის გავლენის სფეროდან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გამოყვანა და მათი ისეთ ორგანიზაციაში გაწევრიანების დაპირებით გაბრუნება, როგორცაა ნატო.

მომხიბლველმა პერსპექტივამ დააბრმავა ყოფილი საბჭოელები, განსაკუთრებით ქართველები და ნაცვლად იმისა, ვინმეს ეკითხა, როდის დადგებოდა ეს „ბედნიერი“ დღე ან რა არის ის ორგანიზაცია, სადაც შეყვანას გვპირდებიან, ტკბილ ოცნებას მიეცნენ. ნატო? რატომაც არა?! ბედნიერად ვიცხოვრებთ, დაცულებიც ვიქნებით, წამოვწვებით კაკლის ხის ჩრდილში - ნატო გვაჭმევს და გვასმევს, როგორც ღმერთის წილხვედრ ქვეყანას.

არავის უფიქრია, რომ იქ შესასვლელად მკაცრი გამოცდების ჩაბარება იყო საჭირო. არც აშშ-ს შეუწუხებია თავი ჩვენი ინფორმირებისთვის, ცხადია შეგნებულად და არა გულმავიწყობით.

ის, რომ ნატო ამ ხნის განმავლობაში ჩვენთვის არ გამოჩნდებოდა, კარგად იცოდა ნატოს კარში ჩამდგარმა აშშ-ა, მაგრამ მისი მიზანი სწორედ ეს იყო - საქართველოსთვის „ჭრელი პეპელას“ (ნურც გაფრინდები, ნურც მოფრინდები) ბედის გაზიარება.

საქართველოს მუდამ უნდა ეფიქრა ნატოზე, დასავლეთს მუდამ უნდა ეთქვა საქართველოსთვის - ნატოში მიგიღებთ, მაგრამ საქართველო დარჩებოდა საწყის პოზიციაზე, ოღონდ რუსეთიდან შორს. არც ვაშინგტონს და არც ბრიუსელს არ ჰქონდა სურვილი პრობლემებით დახუნძლული, ტერიტორიებდაკარგული ქვეყნის შვილობის.

დასავლეთის დაკვეთა საშური მუყაითობით შეასრულეს შევარდნადისა და სააკაშვილის ხელისუბლებამ. მათ არც ახალი მთავრობა ჩამოუვარდებია. საკუთარი ხალხის მოტყუებაში ისინი ისე იყვნენ და არიან დაოსტატებულნი, ტყუილი რომ მართალი ჰგონიათ.

აშშ-ა მიაღწია მთავარს - მან ისე დააპირისპირა ნატოში გაწევრების იმედზე მყოფი საქართველო რუსეთს, რომ ეს უკანასკნელი სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდა მას.

საქართველოში რუსეთის ხსენებაც რომ ერიდებათ, სწორედ აშშ-ს პროპაგანდისტური მანქანის მოხერხებული მუშაობის შედეგია. ჩვენთვის დაიკარგა რუსეთი - საუკუნეთა განმავლობაში, ცუდად თუ კარგად, ჩვენთან მდგომი - ნათესავური, რელიგიური, კულტურული კავშირებით.

დაიკარგა რუსეთი და არსად ჩანს ნატო. გამოჩნდებაო - გვიმტკიცებს დღევანდელი ხელისუფლება - გუშინდელის კურსის გამგრძელებელი. „იმდენი, გვერდები არ აგიდგეთო“, - იტყოდა შევარდნაძე ამ კომიკურ ვითარებაზე. იტყოდა დღეს! გუშინ კი, არა!

აშშ-ს პოლიტიკა არ არის ცალსახა და უზიგზაგო, წინააღმდეგ შემთხვევაში ის აღარ იქნებოდა ჰეგემონი. აშშ-ი თამაშობს და ამ თამაშში ითრევს სხვას. როგორც ჩანს, მან ახალი თამაში წამოიწყო - ახლო აღმოსავლეთის კარტის გადალაგებით და ამ თამაშში ირანის ჩართვით.

ირანი, ის ქვეყანაა, რომელმაც 35 წლის განმავლობაში, ბევრი სიმწარე იგემა აშშ-ს მზაკვრული პოლიტიკიდან. ისლამური რევოლუციიდან დაწყებული, დღემდე, ირან-აშშ-ს შორის გაწყვეტილია დიპლომატიური ურთიერთობა, შექმნილია მთელი რიგი ეკონომიკური ბარიერები. დღემდე, აშშ-ს ირანი არის ნომერ პირველი მტერი, ხოლო ირანისთვის - აშშ-ი ნომერ პირველი ურჩხული.

აშშ-თან ირანის შაჰის მჭიდრო მეგობრულ-პარტნიორული ურთიერთობებიდან, მტრულ რელსებზე გადასვლამ, რაც 1979 წლის რევოლუციის შემდეგ განხორციელდა, ირანის საზოგადოება გამოაწრთო, საკუთარ შესაძლებლობებში დაარწმუნა, ააშენებინა ისეთი ქვეყანა, რომელიც მთელი რიგი პარამეტრებით სამაგალითოა რეგიონში.

ამერიკა-დასავლეთის მუდმივი საფრთხის ქვეშ მყოფი ირანი მუშაობდა არა მარტო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გასავითარებლად, არამედ სამხედრო მშენებლობის ჩამოსაყალიბებლად, საკუთარი ენერგეტიკული გეგმების შესაქმნელად, ბირთვული კვლევების გასახორციელებლად.

ამერიკისთვის საშიში აღმოჩნდა ბირთვულ ენერგიაზე მომუშავე ქვეყანა, ვინაიდან გზა მშვიდობიანი ატომიდან ბირთვულ ბომბამდე არცთუ შორია. რა ხერხს არ მიმართეს ვაშინგტონმა და მისი წაქეზებით, მისმა მოკავშირე ქვეყნებმა ირანის ბირთვული პროგრამის შესაჩერებლად, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად დასავლეთის და ისრაელის პერმანენტული მუქარისა - ირანის კვლევითი ლაბორატორიების რაკეტებით განადგურების ჩათვლით - ირანი აგრძელებდა მშვიდობიან ატომზე მუშაობას. ირანის ხელისუფლებას არაერთხელ უთქვამს, რომ ის არ ამზადებს ბირთვულ ბომბს, მაგრამ ვის სჯეროდა ამის?!

ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ, რომელმაც კონსერვატორი აჰმადინეჟადი ჩაანაცვლა, განსხვავებული, უფრო პრაგმატული პოზიცია დაიკავა. მისმა გამოსვლამ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე უკვალოდ არ ჩაიარა. ის, უმაღლესად მსჯელობის საგანი. გარდა ამისა, ობამა-როუჰანის სატელეფონო საუბრის ინიციატორი. როუჰანიმ განაცხადა, რომ მზად არის „ექვსეულთან“ (გაეროს 5 მუდმივი წევრი და გერმანია) შეწყვეტილი მოლაპარაკებების აღსადგენად. ნათქვამმა გაჭრა. დასავლეთი დათანხმდა ჟენევის მოლაპარაკებების განახლებას ირანის მხარის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მაინც რა მოთხოვნებს აყენებს ირანი? უპირველეს ყოვლისა, დასავლეთის მხრიდან იმის აღიარებას, რომ ირანს უფლება აქვს ჩაატაროს სამშვიდობო ბირთვული კვლევები, 20%-დე გაამდიდროს ურანი ენერგეტიკისა და მედიცინისთვის. ირანი ითხოვს გამდიდრებული ურანის თავის ტერიტორიაზე დატოვებას.

ირანი, ოფიციალურად აცხადებს, რომ არ შექმნის ბირთვულ ბომბს და აღნიშნული დაპირების გადასამოწმებლად მზად არის საერთაშორისო ატომური ენერჯის სააგენტოს ექსპერტების მასპინძლობისთვის. აღნიშნულ წინადადებათა გათვალისწინების შემთხვევაში, ირანი მოითხოვს მის მიმართ დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოხსნას - განსაკუთრებით ნავთობის ექსპორტსა და საბანკო სისტემაზე.

ჟენევის შეხვედრა იმდენად პრაგმატულად წარიმართა, რომ ნაცვლად დაგეგმილი 2 დღისა, მესამე დღესაც გაგრძელდა. მესამე დღეს შეხვედრის დონეც აიწია და ექსპერტებთან ერთად, „ექვსეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრებიც ჩაერთნენ მოლაპარაკებაში. გაიმართა ორმხრივი მოლაპარაკებებიც, მათ შორის ამერიკა-ირანის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელთა შორის, რომელიც 8 საათს გაგრძელდა. როგორც ჩანს, 35-წლიანმა პაუზამ ერთმანეთის მონატრება გამოიწვია - ეს, უბრალოდ, ხუმრობით.

სენსაციური გამოდგა ჟენევის რაუნდი, მართალია ერთობლივი დოკუმენტი არ იქნა მიღებული, მაგრამ აღარაფერი აკლდა. სრული შესაძლებელია, რომ ასეთს ხელი მოეწეროს 20 ნოემბერს, როდესაც გაგრძელდება მოლაპარაკება.

ახლო აღმოსავლეთში, ახალი ვითარება იქმნება - ირანის წინ წამოწევით. არც ისაა გამორიცხული, რომ ამერიკა-ირანს შორის აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა, რასაც, უდავოდ, მოჰყვება ეკონომიკური და სხვა კავშირების აღდგენა. და თუ ამას ექნა ადგილი, ირანის როლი რეგიონში სულ სხვანაირად წარმოჩნდება.

ამერიკა-ირანს შორის ატმოსფეროს დათბობა მისასაღმებელია უპირველესად იმიტომ, რომ თავიდან იქნება აცილებული სამხედრო დაპირისპირება დასავლეთსა და ირანს შორის. აშშ-ს აღარ დასჭირდება ანტისარაკეტო სისტემების განთავსება ევროპაში, რომელიც, თვით ამერიკის განმარტებით, ირანის რაკეტებისგან დაიცავს ევროპას. დათბობა, ხელს შეუწყობს სირიის ომის დასრულებას, სირიიდან შიიტი მეომრების (რომლებიც ასადის მხარეს იბრძვიან) გამოყვანას. ახლო აღმოსავლეთსა და არაბულ სამყაროში შექმნილი ფეთქებადი ვითარების ჩაცხრობას და ა.შ. ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს?

ერთის შეხედვით - არაფერი. მაგრამ მხოლოდ ერთის შეხედვით, ვინაიდან ისრაელი და საუდის არაბეთი (ორივენი აშშ-ს სტრატეგიული მოკავშირეები არიან)

ნეგატიურად უდგებიან ამერიკა-ირანის ურთიერთობათა აღდგენას. ისრაელის პრემიერ-მინისტრი ნეთანიაჰუ აცხადებს, რომ ირანი არ დაიცავს ხელშეკრულების პირობებს და გააგრძელებს ბირთვულ ბომბზე მუშაობას. ერთადერთი გზა ირანისთვის არის სანქციები. სწორედ სანქციებით უნდა ააღებინოს ხელი ამერიკამ ირანს ურანის გამდიდრებაზე.

ისრაელს არც საუდის არაბეთი ჩამოუვარდება. ეს ქვეყანა კარგახანია იბრძვის რეგიონის ლიდერობისთვის. მისი აზრით, ამ გზაზე მას ირანი ელობება. ირან-საუდის არაბეთის ინტერესები იკვეთება სირიაში. საუდის არაბეთი, საერთო ჯამში ცივად არის განწყობილი ირანის მიმართ, ხოლო ირანის სავარაუდო ბირთვულ ბომბს პირად გამოწვევად აღიქვამს.

საუდის არაბეთის მეფის აბდალას ამერიკულ დიპლომატებთან გაკეთებული განცხადება - სუნიტური საუდის არაბეთი ვერ აიტანს შიიტური ირანის ბირთვულ ბომბს და თვით შექმნის ასეთს, ყასიდად ნათქვამი სიტყვები არ არის. ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-ს მიხედვით, ერ რიადი ბირთვულ ბომბს პაკისტანს ამზადებინებს. მართალია, ორივე ქვეყანა მტკიცე უარს აცხადებენ ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით, მაგრამ „ბი-ბი-სი“ სულაც არ არის „ყვითელი“ ტელეკომპანია.

ირან-აშშ-ს შორის დამაბულობის განელება, წესით, არც რუსეთს უნდა აწყობდეს, ვინაიდან პერსპექტივაში, მას შეიძლება მოჰყვეს დათბობა, მრავალმხრივი კავშირების აღდგენა და მათ შორის სამხედროს.

ირან-აშშ-ს სამხედრო თანამშრომლობის რეანიმაცია ძვირად დაუჯდება რუსეთს, ვინაიდან ირანში განლაგებული ამერიკული რაკეტების საწინააღმდეგოდ საჭირო გახდება რუსეთის სამხრეთში ანტისარაკეტო სისტემის ჩამოყალიბება, რაც მილიარდებთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, რუსეთს საფრთხე შეექმნება კასპიის ზღვაზეც, სადაც, სრული შესაძლებელია, აშშ-ს სამხედრო-საზღვაო გემების გამოჩენაც.

ირანთან აშშ-ს ურთიერთობის დათბობით კარდინალურად შეიცვლება ცენტრალური აზიისა და კასპიის ენერგომატარებლების ბედიც. რუსეთის ენერგომატარებლებს სერიოზული კონკურენტები გამოუჩნდება ირანისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგომატარებლების სახით.

ირან-აშშ-ს მომავალმა (სავარაუდო) ალიანსმა საბოლოოდ შეიძლება გადაწყვიტოს რუსეთის ყოფნა-არყოფნის საკითხი. დასავლეთის მხრიდან რუსეთის საზღვრებს შემორკალულ ნატოს ალიანსს ბუნებრივად დაემატება სამხრეთის რკალი. ეს გეგმა არა მარტო რუსეთის წინააღმდეგ იმუშავებს, არამედ აშშ-ს მეორე მეტოქის, ჩინეთის წინააღმდეგაც. რას მოიმოქმედებს რუსეთი აღნიშნული, მისთვის ნეგატიური, გეგმის დასაპირისპირებლად, ძნელი გამოსაცნობია.

უპირველეს ყოვლისა რუსეთი შეეცდება დიპლომატიური აქტიურობის გზით ირანსა და ცენტრალური აზიის ქვეყნებთან ისეთი კავშირების წარმოებას, რომელიც წინ აღუდგება ვაშინგტონის გეგმას. სხვა გზა მას არ დარჩენია.

მეორის მხრივ, რუსეთისთვისაც მისაღები უნდა იყოს ამერიკა-ირანის ურთიერთობათა გაუმჯობესება, ვინაიდან ის გაუხსნის რუსულ ბიზნესს გზას, ირანში თავისუფალი მოქმედებისკენ. დღეს, ამ მხრივ ვითარება შეზღუდულია, ვინაიდან გლობალიზაციის წყალობით, რუსეთ-აშშ, რუსეთ-ევროკავშირი, ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთზე გადაჭდობილი, რომ ნებისმიერი რუსული ინიციატივა უოლ-სტრიტზე ფიქსირდება. ირანის სანქციების მოხსნის შემთხვევაში, მსგავსს ადგილი არ ექნება.

გარდა ამისა, მოსკოვმა უნდა იმედოვნოს, რომ ირანის დღევანდელ პოლიტიკურ სისტემასა და დასავლეთს, კერძოდ აშშ-ს შორის ისეთი დიდი განსხვავებაა, რომ მისი უცბათ შეცვლა წარმოუდგენელია. ირანის ისლამურ ხელისუფლებას კარგად ახსოვს აშშ-ს მხრიდან, 35 წლის განმავლობაში მიყენებული ჭრილობები, რომლთა დავიწყება, ერთის ხელის მოხმით, შეუძლებელია. ვაშინგტონ-თეირანს შორის ურთიერთობათა გაუმჯობესების პერიოდშიც არ გაქრება ერთმანეთის მიმართ არსებული ეჭვი.

აშშ-ი, უდავოდ, შეეცდება ირანის პოლიტიკური სისტემის შეცვლას, ირანის გარეთ მყოფი ირანელების დახმარებით და ქვეყნის შიგნით მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურებით. ცხადია, ეს უცბათ არ მოხდება. მას არაერთი წელი დასჭირდება, მაგრამ აშშ-ი მუდამ მზად იქნება ამ გეგმის განსახორციელებლად.

და ბოლოს, რით არის გამოწვეული აშშ-ს ესოდენი ინტერესი ირანის მიმართ? ირანს ხომ წინათაც არაერთხელ დაუსვამს მსგავსი წინადადებები დასავლეთისთვის?

საქმე საბაჟო კავშირსა და ევრაზიულ კავშირშია. როგორც ცნობილია, ირანმა სურვილი გამოთქვა აღნიშნულ ორგანიზაციებში შესვლის და არა მარტო ირანმა, თურქეთმა, ინდოეთმა, ვიეტნამმა, სხვებმაც. შანხაის ორგანიზაციასთან ერთად, რომელშიც ჩინეთ-რუსეთი ლიდერობს, ევრაზიული კავშირი დიდი გამოწვევაა აშშ-ს და ევროპისთვის - ისეთი, რომელიც დაასამარებს აშშ-ს ჰეგემონიზმს.

ვაშინგტონი ასწრებს მოვლენებს და ირანის მოხიბლვით ცდილობს ხელი ააღებინოს მას ევრაზიულ კავშირში და შანხაის ორგანიზაციაში შესვლაზე. რამდენად გამოუვა ვაშინგტონს ეს ჩანაფიქრი, მომავალი გვიჩვენებს. ის, მომავალი, რომელიც დიდთა დაპირისპირებას არ გამოორიცხავს. და როდესაც დიდთა ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგება, იქ პატარებს, ისეთებს, როგორც ჩვენ ვართ, მხედველობაში ნაკლებად მიიღებენ.

მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში მოუწევს მუშაობა საქართველოს გამოუცდელ ხელისუფლებას. შეძლებს ის გამოწვევების ატანას?

„დემოკრატია“ ქართულად

21/11/2013

მას შემდეგ, რაც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს, მათ შორის საქართველოს, რუსეთმა, დამოუკიდებლობა უბოძა, გახშირდა სიტყვა „დემოკრატის“ სისტემატური ხსენება. ამ სიტყვამ განსაკუთრებული მნიშვნელობა 1995 წელს შეიძინა - ახალი კონსტიტუციის მიღების, პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევის შემდეგ.

ქართულმა პოლიტიკამ, უკვე დასავლეთისკენ გადახრილმა, დასავლელ ექსპერტთა და ზედამხედველთა სურვილისამებრ გაააქტიურა დამოკიდებულება სიტყვა „დემოკრატისადმი“, მაგრამ ამით არაფერი დაატყო სიტყვის შესაფერის საქმეს.

გადიოდა დრო - საქართველოს წიაღში აღმოცენებული „დემოკრატია“ ქართულ სპეციფიკას იძენდა. საზოგადოება, „დემოკრატის“ ძალის, მითუმეტეს შინაარსის უხილობაში იმედგაცრუებული, აშკარად კარგავდა მისდამი ინტერესს. „დემოკრატია“ ახალ განზომილებაში გადადიოდა, რომელიც უფრო მეტად ღიმილს იწვევდა, ვიდრე პოზიტიურ დამოკიდებულებას.

ბოლოსდაბოლოს მან სახუმარო თვისებაც შეიძინა, განსაკუთრებით სააკაშვილის ათწლიანი მმართველობის დროს. სიტყვა „დემოკრატის“ გაუფასურებას არა მარტო სააკაშვილისა და ნაცების ანტიდემოკრატიულმა მმართველობამ შეუწყო ხელი, არამედ მათი დასავლელი მასწავლებლების ქცევამაც.

დადებით მოლოდინს არ უნდა ჰქონოდა ადგილი, ვინაიდან საქართველოში ჩამოყალიბებული ტოტალიტარული მმართველობის, „დემოკრატის“ ტანსაცმელში გამოწყობა ვერ შეცვლიდა ვითარებას. ქართული საზოგადოება დარწმუნდა, რომ, როდესაც სიტყვა „დემოკრატის“ ახსენებენ, არადემოკრატიულობას ნიშნავს.

სამწუხაროდ, შინაური და გარეული პოლიტიკოსების და საზოგადო მოღვაწეთა მეცადინეობით, სიტყვა „დემოკრატისადმი“ გულითადი

დამოკიდებულება, ეჭვმა და ქილიკმა შეცვალა, რაც იმის მომასწავებელია, რომ რეაბილიტაციას მრავალი წელიწადი დასჭირდება.

ჭირს იმის გაგება, როდის შეძლებს სიტყვა „დემოკრატია“ ჭეშმარიტი მნიშვნელობის დაბრუნებას, ვინაიდან მას არა მარტო საქართველოში უჭირს, არამედ საქართველოს ისეთი სტრატეგიული პარტნიორის ქვეყანაშიც, რომელიც გასულ და მიმდინარე საუკუნეებში „დემოკრატიის“ აკვნად ითვლება.

სიტყვა „დემოკრატიის“ შინაარსის თავისებური გაგება არსებობს საქართველოს ახალ ხელისუფლებაშიც. ერთი წელიწადია გვესმის ეს სიტყვა ყველა კონტექსტში, განსაკუთრებით არჩევნებთან დაკავშირებით, რაც კიდევ უფრო ართულებს მისი ნამდვილი მნიშვნელობის აღქმას.

დიახ! 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა წერტილი დაუსვა ნაციონალთა პარპაშს. მაგრამ, რამდენად მიესადაგება მას სიტყვა „დემოკრატიული“? არჩევნები, რომ დემოკრატიულად ჩატარებულიყო, ვიხილავდით ესოდენ დიდი რაოდენობის ნაცებს პარლამენტში?

დემოკრატიული არჩევნები, არა მარტო არჩევნების დღით განისაზღვრება, არამედ წინასაარჩევნო მარათონითაც. სამწუხაროდ, ძნელად მოიძებნება პირი, რომელიც წინასაარჩევნო მარათონს დემოკრატიულს უწოდებს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები არათუ დემოკრატიულად, არჩევნებადაც არ ჩაითვლება. ის იყო თავდადებული ბრძოლა ბოროტის, არადემოკრატიულის დასამარცხებლად - ერთი გმირის მხარში ამოდგომით.

განვლილი წელიწადი უხვი „დემოკრატიით“ იყო გაჯერებული, განსაკუთრებით ისეთით, როგორც „კოჰაბიტაცია“. ხელისუფლება-ოპოზიციის ერთწლიანი საპარლამენტო კინკლავიც უფრო დემოკრატიის იმიტაცია იყო, ვიდრე დემოკრატია.

დემოკრატიის იმიტაციად შეიძლება ჩავთვალოთ საპრეზიდენტო არჩევნებაც. მიუხედავად პრეზიდენტობის კანდიდატების უხვი რაოდენობისა, რეალური, სამზე მეტს არ მოიცავდა და ამ სამში, თავიდანვე იყო ცნობილი ვინ, რომელ ადგილს დაიკავებდა.

დემოკრატიულად ვერ მოინათლება არჩევნები, სადაც ყოვლისშემძლე მილიარდერის კანდიდატი, პოლიტიკაში გამოუცდელი და ამომრჩევლისთვის სრულიად უცნობი, პირველსავე ტურში ამარცხებს მოწინააღმდეგეებს და ხმათა 60%-ზე მეტს აგროვებს. არის თუ არა ამჟამინდელი პრეზიდენტის მიერ, ივანიშვილის ხათრით მოპოვებული გამარჯვება დემოკრატიული?

ეს კითხვა მომავალშიც არაერთხელ დაისმება, თუმცა ვეჭვობ, „დემოკრატიული“, უფრო სწორად გულწრფელი პასუხი გაეცეს.

მთლად დემოკრატიულად არც პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის შერჩევა და პარლამენტის მიერ მინისტრთა კაბინეტის დამტკიცება ჩაითვლება.

ერთი კაცის მიერ შერჩეული პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი იწყებს მუშაობას. წინ ფათერაკებით აღსავსე საშინაო და საგარეო ცხოვრებაა, რომლის დროს „დემოკრატიული“ დასავლეთი არაერთხელ შეახსენებს ხელისუფლებას დემოკრატიული „ფასეულობების“ თაობაზე და ამ ფასეულობებში ყველაზე დიდი „განძის“ ნაცმოდრაობის თვალის ჩინივით გაფრთხილებას.

ნორმალურ საზოგადოებაში, მითუმეტეს ქვეყანაში, კრიმინალის დაცვა დემოკრატიად არ უნდა ითვლებოდეს. პირიქით, დამნაშავემ მთელი სერიოზულობით უნდა აგოს პასუხი. „აქლემის ქურდი და ნემსის ქურდი“ რომ ქურდია, საუკუნეთა განმავლობაშია ცნობილი. ის, რომ ქურდი უნდა დაისაჯოს, არც ეს იწვევს დავას. ქურდის, კრიმინალის მიტევა, სულაც არ არის დემოკრატია. გარდა ამისა, ესოდენი „დიდსულოვნება“ რომ შემწყნარებლების მიმართ საეჭვო კითხვებს ბადებს, ფაქტია.

დემოკრატიას ნამდვილად ვერ დავარქმევთ აქლემის ქურდობას. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე „დემოკრატმა“ აქლემის ქურდებმა უდიდესი რაოდენობის სახელმწიფო ფული, სიმდიდრე მიითვისეს, მაგრამ დაუსჯელად დანაგარდობენ, უფრო მეტიც ისე გამომწვევად იქცევიან პარლამენტში, გეგონებათ მამა აბრამის ბატკნები იყვნენ. სახელმწიფო ქონების განიავების გარდა მათ არაერთი მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი და ვიდრე ყველაფერზე პასუხს არ აგებენ, არავითარ დემოკრატიაზე არ შეიძლება ლაპარაკი.

სულ ახლახანს გაიმართა გერმანიის ყოფილი პრეზიდენტის, ვულფის სასამართლო პროცესი. მას კორუფციაში სდებდნენ ბრალს - ანუ 700 ევროზე ოდნავ მეტი თანხის მიღებაში. სააკაშვილი, სხვისთვის „შეწერილ“ ამ რაოდენობის თანხას ერთ უბრალო საუზმობისას ხარჯავდა.

მოდით სხვაგვარად დავსვათ კითხვა - არის თუ არა ქვეყანა დემოკრატიული, სადაც ხელისუფლება ქვეყნისა და ხალხის ფულს იჯიბავს, მაგრამ დაუსჯელი რჩება?!

ოც წელიწადზე მეტია გავყვირით „დემოკრატიას“, მაგრამ ვერაფრით მოვაგვარეთ ერთი პრეზიდენტის მიერ, მეორისთვის ძალაუფლების გადაცემა. პირველი პრეზიდენტი გაურკვეველ ვითარებაში გამოესალმა სიცოცხლეს. მეორე, ჩამოაგდეს და ისე გაუშვეს სახლში, არცკი გახსენიათ მისი ინაუგურაციაზე მიწვევა.

საკავშილოს 2 ინაუგურაციას არ ესწრებოდა ყოფილი პრეზიდენტი და არათუ არ ესწრებოდა, სააკავშილოს სურვილით ციხის საკანში იქნებოდა, რომ არა მისი მფარველი ამერიკელები. შევარდნაძის დანაშაულებრივი საქმიანობა მარტო სააკავშილოს სურვილებს არ ეფუძვნებოდა, მას სერიოზული საფუძველი ჰქონდა, რომელიც თავისთავად გულისხმობდა მისდამი სამართლიან, დემოკრატიულ მიდგომას - მაგრამ არა. ქვეყანა მხოლოდ სიტყვა „დემოკრატით“ შემოიფარგლა.

როგორც ჩანს, დასავლელთა და „ოცნებელთა“ ძალისხმევით მანკიერი ტრადიცია ახალი პრეზიდენტის მმართველობის დროსაც გაგრძელდება. ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციას არ დაესწრო წინამორბედი. შეშინებულმა, უცხოეთს შეაფარა თავი. მის შიშს აქვს საფუძველი - 10-წლიანი ნეგატიური მმართველობა ამის დასტურია.

არის თუ არა ქვეყანა დემოკრატიული, მით უმეტეს, „დემოკრატიის შუქურა“, როდესაც ყოფილი პრეზიდენტები ინაუგურაციას არ ესწრებიან? ან საპარლამენტო ოპოზიცია კატეგორიულ უარს აცხადებს ინაუგურაციაში მონაწილეობაზე? როგორც ჩანს, მთლად გამართულ „დემოკრატიასთან“ არ უნდა გვქონდეს საქმე.

ამჟამინდელი ნაცური ოპოზიცია არ დაესწრო ინაუგურაციას, თუმცა ის, არ დასწრებაში ნოვატორი არ არის. შევარდნაძის ინაუგურაციას „დემოკრატიულად“ სტკიცა უარი მაშინდელმა საპარლამენტო ოპოზიციამ, „აღორძინების“ სახით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ვერც დემოკრატიაში წავიწიეთ, ვერც სამართლიანობაში. ტყუილად გავყვირით დემოკრატიულები ვართო. დემოკრატიულობა და სამართლიანობა მჭიდროდაა ერთმანეთზე გადაჯაჭვული. საკმარისია ამ ჯაჭვის ოდნავი შექანება, არც ერთი იქნება და არც მეორე.

2012 წლის 1 ოქტომბრის „დემოკრატიული“ არჩევნებიდან, ერთი წლის განმავლობაში, ეს ჯაჭვი გაცილებით ნაკლებად, ვიდრე წინათ, შექანდა, მაგრამ მაინც. მთავარი „შექანება“, ქვეყნის 2 მთავარის არჩევა-დანაშვანამ გამოიწვია. ბევრს მიაჩნია, რომ ამ საქმეში ჭარბად იყო სიტყვა „დემოკრატია“ ნახსენები, მაშინ, როდესაც საქმით საწინააღმდეგოსთან გვქონდა საქმე.

არის თუ არა „დემოკრატია“, როდესაც მომავალი პრემიერ-მინისტრის ვინაობა იცის ერთმა კაცმა, მაგრამ არავინ, მის პარტიასა და მთავრობაში?!

არის თუ არა დემოკრატია, როდესაც ქვეყნის პირველ პირს მხოლოდ ვიღაცის ხათრით ნიშნავენ?

პარლამენტმა დაამტკიცა ახალი პრემიერ-მინისტრი და მთავრობა, ივანიშვილის ხათრით. ივანიშვილს ხათრს ვერ გაუტეხდა საპარლამენტო

უმრავლესობა, ვინაიდან მისი პარლამენტში ყოფნაც, ივანიშვილის პერსონას უკავშირდება.

ხალხის პატივისცემა ივანიშვილის მიმართ, ივანიშვილის მილიარდებით არის გამოწვეული და ამ მილიარდების წყალობით განხორციელებული ქველმოქმედებით. უფულო ივანიშვილს ექნებოდა სახალხო პატივისცემა? ექნებოდა, ოღონდ არა იმაზე მეტი, ვიდრე ნებისმიერ მომაკვდავს.

„რწყილსა და ჭიანჭველის“ იგავ-არაკს წააგავს ზემოთმოყვანილი მაგალითი, მაგრამ არა დემოკრატია და როდესაც ასეთ „დემოკრატიასთან გვაქვს საქმე, არ უნდა გაგვიკვირდეს პარლამენტის კრიმინალი ოპოზიციისგან, მითუმეტეს არადემოკრატიულისგან. ახალი პრემიერ-მინისტრის „სპიცრუტენებში“ გატარება.

არადემოკრატიულად მოსულისთვის, არადემოკრატიულთა დახვედრა - კანონზომიერია და ნაკლებად უნდა იწვევდეს გაკვირვებას, მითუმეტეს გაღიზიანებას, რამეთუ ორივე შემთხვევა არადემოკრატიულობას ეფუძნება. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, ოპოზიციამ რომ არ მიიღო მონაწილეობა მთავრობის დამტკიცების პროცედურაში.

არ უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან ქართულ „დემოკრატიულ“ სივრცეში მსგავსი რამ ტრადიციადაა ქცეული. ჭირს იმის გახსენება, როდის მიიღო ოპოზიციამ მთავრობის დამტკიცებაში მონაწილეობა. რა გაეწყობა, ასეთია ქართული „დემოკრატია“.

და მიუხედავად ამისა, ახალ ხელისუფლებას უნდა ვუსურვოთ წარმატებები, ჩვენს თავს - მოთმინება და ოცნება, რომ ეს ექსპერიმენტი მაინც დადებით ნაყოფს მოიტანს.

ჟენევიური სენსაცია და ჩვენი საშინაო პრობლემები

10/11/2013

ჟენევაში, გასულ ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს გამართულმა მოლაპარაკებამ უმაღლესი მიიპყრო მსოფლიოს ყურადღება. დღის წესრიგში იდგა ირანის ბირთული პროგრამა და მასთან დაკავშირებული „ექსტრემული“-ირანის შეხვედრა. ჟენევის შეხვედრას შეთანხმების ტოლფასი შეთანხმებლობა შეიძლება ეწოდოს. მართალია, ამჯერად ვერ მოხერხდა ერთობლივი დოკუმენტის მიღება, მაგრამ ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ პროცესი წარმატებით დასრულდეს 20 ნოემბერს.

ჟენევის ბოლო შეხვედრის კონსტრუქციულობაზე ისიც მიანიშნებს, რომ ექსპერტთა დონეზე დაწყებული მოლაპარაკება, რომელსაც მხოლოდ ორი დღე უნდა დათმობოდა, მესამე დღეს გაგრძელდა და მასში მონაწილეობა მიიღო „ექვსეულის“ საგარეო უწყებათა ხელმძღვანელებმა.

გადაწყვეტილება მოულოდნელად იქნა მიღებული, რამაც აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი ჩაიყვანა ჟენევაში. მოგეხსენებათ, ის იმყოფებოდა ახლო აღმოსავლეთში - პალესტინა-ისრაელის საკითხებთან დაკავშირებით.

ჟენევაში გაკეთებული განცხადებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, 1979 წელს ირან-აშშ-ს შორის შექმნილი ყინული ლღვობას იწყებს. ირანის რევოლუციიდან დაწყებული, ორი ქვეყნის საგარეო უწყებათა ხელმძღვანელები ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. მათ შორის არც დიპლომატიური ურთიერთობა არსებობს და ასეთ დროს, ქერისა და ზარიფის რვასათიანი შეხვედრა, რომლის შემდეგ ორივე ფრთხილი ოპტიმიზმით აცხადებს მოლაპარაკებების 10 დღის შემდეგ განახლებას.

ჟენევის ბოლო შეხვედრის დროს ორმხრივი დოკუმენტი არ გაფორმდა, ვინაიდან მხარეთა შორის ჯერაც არსებობს სერიოზული აზრთა სხვაობა. ირანის დელეგაცია ათი დღის განმავლობაში საკუთარ ხელისუფლებასთან განიხილავს ჟენევის შეხვედრის პერიპეტიებს და 20 ნოემბერს მზად იქნება მოლაპარაკების გასაგრძელებლად.

ირანის ახალი პრეზიდენტის ჰასან როუჰანის მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა გაეროს ბოლო ასამბლეაზე დიდი ინტერესი გამოიწვია. მისი გამოსვლა პრაგმატულ აზროვნებად იყო აღქმული, თუმცა დასავლეთის მხრიდან ითქვა ისიც, რომ სიტყვას, საქმით უნდა დამტკიცება. საქმე კი ისაა, რამდენად შეძლებს ირანი „ექვსეულის“ (აშშ-ი, რუსეთი, ჩინეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია) მიერ დასმული წინადადებების შესრულებას.

ირანს საკუთარი შეხედულებები აქვს ბირთვულ კვლევებთან დაკავშირებით. მას არ სურს კვლევების შეწყვეტა, პირიქით, სურს - გაგრძელება შესაბამის დონემდე. ირანი ყოველთვის აცხადებდა, რომ ურანის გამდიდრებით ის არ ცდილობს ბირთვული ბომბის დამზადებას, რისიც ნაკლებად სჯერათ დასავლეთში.

დასავლეთი მუდამ ამბობდა, რომ ირანს უფლება აქვს გააგრძელოს ბირთვული კვლევები ენერგეტიკისა და სხვა დარგების გასავითარებლად, მაგრამ ურანის გამდიდრების ზღვარი 5%-ს არ უნდა ააცილოს. ირანი მზად არის ანგარიში გაუწიოს ამ მოწოდებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ი და მისი ევროპელი მოკავშირეები ხელს შეუწყობენ გაეროს მიერ დაწესებული ეკონომიკური სანქციების მოხსნას.

ბოლო წლების განმავლობაში გაერომ ირანის წინააღმდეგ 4-ჯერ შემოიღო უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები, გარდა ამისა დამატებითი სანქციები შემოიღეს აშშ-ა და მისი დამატებით ვეროკავშირმა. ეკონომიკურმა სანქციებმა მკვეთრად გააუარესეს ირანელთა სოციალური პირობები. გაამძირეს ცხოვრება.

ირანელი ექსპერტების მიხედვით, ყოველივე ამან განაპირობა საპრეზიდენტო არჩევნებში შედარებით რბილი პოლიტიკოსის, რომელსაც რეფორმატორადაც მოიხსენიებენ, ჰასან როუჰანის გამარჯვება. ახალი პრეზიდენტის წინასაარჩევნო დაპირებებში ხაზგასმით იყო აღნიშნული დასავლეთთან საერთო ენის გამონახვის და სანქციების მოხსნის თაობაზე.

ქვეყნის მმართველი, სულიერი ლიდერი აიათოლა ხამენეი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ კურსს, დაეთანხმა ახალი პრეზიდენტის გეგმას. შეძლებს პრეზიდენტი როუჰანი „ექვსეულის“, განსაკუთრებით აშშ-ს დარწმუნებას, რომ მისი გეგმები სხვაა წინამორბედთან შედარებით? უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

აშშ-ი ყურადღებით ეკიდება ირანის ახალი მთავრობის სურვილს დიპლომატიური მოლაპარაკებების აღდგენის თაობაზე და გამოთქვამს იმედს, რომ ირანი გადადგამს პრაგმატულ ნაბიჯებს ურანის გამდიდრების გარკვეულ ჩარჩოებში მოსაქცევად. პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ირანს აქვს უფლება ბირთვულ ენერგეტიკაზე.

საერთაშორისო სამართლის მიხედვით არაბირთვულ სახელმწიფოებს აქვთ უფლება ჩაატარონ სამშვიდობო ბირთვული კვლევები. საერთაშორისო ბირთვული ენერგეტიკის სააგენტოს ირანის მიმართ 50 კითხვა აქვს დაგროვილი. 18 წლის განმავლობათი, 2002 წლამდე ირანი გასული იყო აღნიშნული სააგენტოს კონტროლიდან. ამჟამად ირანი ამდიდრებს ურანს 3,5%-დან 20%-მდე, რასაც იყენებს ენერგეტიკასა და მედიცინაში, განსაკუთრებით ონკოლოგიაში. ამას წინათ საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ მიხედვით, ირანის პარლამენტმა განაცხადა, რომ წყვეტს ურანის 20%-იან გამდიდრებას.

ირანის ინიციატივას სკეპტიკურად უყურებს ისრაელი. აშშ-ს სახელმწიფო მდივან ჯონ ქერისთან რომში შეხვედრის დროს, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ გამოთქვა თავისი შემდეგი მოსაზრება: „ჩვენი მთავარი პრობლემა უსაფრთხოების საკითხებში - არის ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობა. ირანს არ უნდა ჰქონდეს ბირთვული არსენალი. მას არ უნდა ჰქონდეს ცენტრიფუგები, ურანის გასამდიდრებლად. მას არ უნდა ჰქონდეს დანადგარები მძიმე წყლის მისაღებად, რომელიც გამოიყენება მხოლოდ ბირთვული იარაღის დასამზადებლად. ის უნდა გათავისუფლდეს დაგროვილი ბირთვული

საწვავისგან და მიწისქვეშა ბირთვული ლაბორატორიებისგან, რომელთა სამხედრო დანიშნულება ეჭვს არ იწვევს“.

ნეთანიაჰუს აზრით, უკეთესი რამ ირანის მორჯულებისთვის არის სანქციებით ზეწოლა, რომელმაც აიძულა ირანი მოლაპარაკების დასაწყებად.

როგორც ჩანს, აშშ-ი სხვა პოზიციას დაიკავებს ირანთან მიმართებაში, რაც არ ახარებს ისრაელს. ისრაელთან ერთად ირანის ბირთვული პროგრამის კატეგორიული მოწინააღმდეგეა საუდის არაბეთიც. ეს ქვეყანა მზადაა ახლო აღმოსავლეთის ლიდერობისთვის, ამდენად მისი პოზიცია ირანის მიმართ გასაგებია. ორი ქვეყანა უპირისპირდება ერთმანეთს სირიის საკითხშიც. ირანი ეხმარება სირიას, საუდის არაბეთი კი - ბაშარ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლ ოპოზიციურ ძალებს.

ორი წლის წინათ საუდის არაბეთის მეფემ აბდალამ ამერიკელ დიპლომატთან საუბრის დროს კატეგორიულად განაცხადა, რომ არ დაუშვებს შიიტურ ბირთვულ ბომბს, მას მხედველობაში ჰქონდა ირანი. მან ისიც თქვა, რომ შიიტური ბომბის საწინააღმდეგოდ საუდის არაბეთი დაამზადებს სუნიტურ ბირთვულ ბომბს.

როგორც ჩანს, მეფე აბდალას განცხადება არ იყო მარტო სიტყვიერი მუქარა. ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-ს მიხედვით, საუდის არაბეთმა პაკისტანს შეუკვეთა ბირთვული ბომბი, რომელსაც საუდის არაბეთი გაცილებით ადრე მიიღებს, ვიდრე ირანი დაამზადებს ასეთს. მართალია, პაკისტანი კატეგორიულად უარყოფს ამ ინფორმაციას, ისევე როგორც საუდის არაბეთი, მაგრამ ვინ იცის? იმ შემთხვევაში, თუ საუდის არაბეთს გაუჩნდება ბირთვული ბომბი, ეგვიპტე და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიც ძალას არ დაიშურებენ მსგავსი იარაღის შესაქმნელად.

ჟენევის მოლაპარაკებაზე ბევრია დამოკიდებული. უნდა ვიმედოვნოთ, რომ „ექვსეული“ და ირანი წარმატებით დაასრულებენ შეხვედრას, რომელიც გარკვეულ სინათლეს შეიტანს ბირთვული იარაღის დამზადების აკრძალვის საქმეში.

რაც შეეხება საქართველოს, მასაც თავისი ჟენევა აქვს. გასულ კვირას ამ ქალაქში გაიმართა მორიგი მოლაპარაკება, რომელსაც დიდი სიახლე არ მოჰყოლია. ჟენევის ფორმატი, მიუხედავად ხელისუფალთა ოპტიმიზმისა, სასიკეთოს არაფერს გვპირდება. ის გადადის ისეთ ფორმატში, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის.

ერთი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებამ ვერაფერი იღონა ისეთი, რუსეთთან ურთიერთობების კარდინალურად შესაცვლელად. როგორც ჩანს, არც ახალი პრემიერისა და პრეზიდენტის პირობებში გამოსწორდება მდგომარეობა.

თუმცა პოლიტიკა ისეთი რამაა, უმნიშვნელო მოვლენამაც შეიძლება იქონიოს მასზე გავლენა. პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ბოლოსდაბოლოს ტელეეკრანებზე მაინც აღარ ვიხილავთ ამჟამინდელ პრეზიდენტს, პრეზიდენტის ამპლუაში. სხვა მხრივ ის, რომ არ მოგვეშვება, დღესავით ნათელია.

ნებისმიერი ქვეყნის პოლიტიკოსის ცხოვრება, რომ იავარდფენილი არ არის, მტკიცება არ სჭრდება. რაიმე განსაკუთრებული ექსცესების გარეშე რომ ჩაიაროს მისი ცხოვრების თუნდაც ერთმა წელმა, მცირე მასშტაბის თავსატკივარი იმდენია, საკმარისი იქნებოდა ნებისმიერი მომაკვდავის გულსისხლმარღვთა დაავადების, მაღალი წნევის, თავის ტკივილის და ვინ მოთვლის კიდევ რა სნეულების შესაყრელად.

პოლიტიკოსი იძულებულია გაუძლოს კრიტიკას, ლანძღვას, ხშირად გინებასაც კი და არცთუ იშვიათად ფიზიკურ თავდასხმას. მაგალითად, უკრაინის, იაპონიის, სამხრეთ კორეის, სხვა ქვეყნების პარლამენტური ხელჩართული ჩხუბის გახსენებაც ღირს.

პოლიტიკოსი მზად არის გაუძლოს მრავალმხრივ შეტევებს, პოლიტიკური ამწყოსა და მომავლისთვის, საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილების, პოლიტიკური კარიერის გადარჩენისთვის. ჯამში, პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ, გაწეული მუშაობისთვის ის სხვასთან შედარებით მაღალი პენსიით არის უზრუნველყოფილი, გარდა ამისა ხშირად იწვევენ სამოქალაქო სექტორსა თუ ბიზნესში კონსულტაციების გასაწევად - მაღალი ანაზღაურებით, რამეთუ პოლიტიკური პერიპეტიებგამოვლილი, გაცილებით მისაღებია, ვიდრე სხვა.

მაგრამ ეს ყველაფერი იქ, სადაც ხელის გულზე ატარებენ პოლიტიკური ბიოგრაფიის მქონე პირს, პროფესიონალს, გამოცდილ მუშაკს და არა აქ, სადაც გამოცდილება, მითუმეტეს პროფესიონალიზმი არაფრად ღირს.

იციან ყველაფერი ეს აქაურმა „პოლიტიკოსებმა“. იციან, რომ მათი პოლიტიკური ცხოვრება ხანმოკლეა და ვიდრე პოლიტიკაში არიან მათი მთავარი საფიქრალი პოლიტიკური ცხოვრების შემდგომი პერიოდის მოწყობაა.

დამოუკიდებლად არსებობის პერიოდში მრავალმა პირმა მოსინჯა საკუთარი თავი პოლიტიკაში, მაგრამ პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ ახლო ნათესავების გარდა მათი პიროვნება, მითუმეტეს საქმენი - არავის გახსენებია. ღვაწლი მათი, ქვეყნის წინაშე, ნულოვანია. მოცლიაო - იტყვის მავანი, სიტყვა „ღვაწლის“ წაკითხვისას.

რა გაეწყობა, ამაღლებულია თუ ნაკლებად სიტყვა „ღვაწლის“ ხსენება ქვეყნის წინაშე გაწეული სამსახურისთვის, ის მაინც გამოიყენება იმ პირთა, მათ შორის პოლიტიკოსთა დასახასიათებლად, ვინც საკუთარი შრომით საქვეყნო საქმეები აკეთა.

სამწუხაროდ, ბოლო 20 წლის განმავლობაში იშვიათობაა პოლიტიკოსი, რომელმაც თავი დაგვამახსოვრა, არადა ასეულობით მათგანმა ჩაგვიარა ისე, სახელიც არ გვახსოვს - მოვიდნენ, საკუთარი ცხოვრება მოიწყვეს და წავიდნენ.

„იშვიათობაა პოლიტიკოსი, რომელმაც თავი დაგვამახსოვრა“ - სააკაშვილზე არ ითქმის. მან უკვე დაიკავა თავისი ადგილი საქართველოს ისტორიაში - ცუდად თუ კარგად - დაიკავა, მოგვწონს თუ არა ეს, ჩვენ. აქვე იმასაც დავუმატებ, ამ პიროვნების მხოლოდ წარსულ დროში მოხსენიება, სირაქლემის პოზიციაში ყოფნაა. მართალია, დღეს ის მიდის დიდი პოლიტიკიდან, მაგრამ მხოლოდ „დიდიდან“ და არა პოლიტიკიდან. მიდის დროებით, სულის მოსათქმელად და ახალი შემობრუნებისთვის ძალების მოსაკრეფად.

„ძნელად თუ ჰპოვებ ვინმეს, ნაბობარზე რომ ამბობდეს უარს. უმრავლესობა, რომ მისცე ტირანობაზე, მხედართმთავრობასა და ბევრ სხვა თანამდებობაზე არ იტყოდა უარს, რომელთა ფლობაც უფრო სავალალოა, ვიდრე სასარგებლო. პირიქით, თუ არ აქვს, ლოცვას არ მოიშლიდა, ღმერთო მიბოძეო“, - წერდა პლატონი.

ჰოდა, რით განსხვავდება ჩვენი „გმირი“ პლატონისეული პერსონაჟებისგან? თუ ამას დავუმატებთ საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩის კენეტ იალოვეცის სულ ახლახანს გაკეთებულ განცხადებას სააკაშვილის საქართველოში დარჩენასთან დაკავშირებით, დავინახავთ, რომ მომავალი პრეზიდენტისადმი ამერიკელთა დამოკიდებულება არაორაზროვანია.

ცხადია, იალოვეცი არ წარმოადგენს ყველა ამერიკელ პოლიტიკოსს, მაგრამ არც ხელწამოსაკრავი დიპლომატია. მისი ჭკრეტით, თუ სააკაშვილი დარჩება საქართველოში, მას შესაძლოა მოუწიოს მართლმსაჯულების წინაშე წარდგომა, რაც თავისთავად გამოიწვევს მასობრივ გამოსვლებს, ქვეყნის ქაოსს. ამ განცხადებით იალოვეცმა ორი რამ თქვა - პირველი - გაფრთხილება ხელისუფლებას - ასეთი ნაბიჯი არ გადადგა, თორემ ხალხი აგიბუნტდებაო და მეორე - სააკაშვილი იმდენად უყვარს ხალხს, რომ მის დასაცავად ქუჩაში გამოვაო.

ამერიკელი იალოვეცის განცხადება გაფრთხილებად უნდა მიიღოს ხელისუფლებამ - ყოფილი პრეზიდენტი არ შეაწუხოთ, თორემ ხალხს გამოვიყვანთო. და გამოვიყვანენ, ისე, როგორც ამას აკეთებენ უკრაინაში, სააკაშვილის მეგობარ ტიმოშენკოსთან დაკავშირებით.

კბილებით იცავს ვაშინგტონი ფერად-ყვავილოვანი რევოლუციების გმირებს. მართალია ტიმოშენკო ვერ დაიხსნა ციხიდან, მაგრამ ისეთი პრობლემები შეუქმნა იანუკოვიჩს - დღევანდელ პრეზიდენტს, უარესს რომ ვერავინ იფიქრებდა. პოლიტიკური უფსკრულის პირას მდგომი იანუკოვიჩი, საკანონმდებლო ორგანოსა და დასავლეთს შორის გაბმული, გალიაში მყოფ იმ ჩიტს წააგავს, რომელმაც არ იცის

ჭიკჭიკის დროს თავი საით მიაბრუნოს - დასავლეთისკენ თუ აღმოსავლეთისკენ. ასე იცის საკუთარი პოზოციის არქონამ.

ტიმოშენკო დიდ გამოცდად გადაიქცა იანუკოვიჩისთვის. გაუშვებს ციხიდან ანუ შეიწყალებს - ვაია, ვინაიდან თავისუფლების ჰაერჩასუნთქული იულია ისეთ ცეცხლს ააგიზგიზებს, ხანძარში რომ გადაიზრდება და იანუკოვიჩის დამარცხებით, ციხეში გასტუმრებით დამთავრდება.

გერმანიაში „სამკურნალოდ“ გაისტუმრებს იმ გარანტიით, რომ „ავადმყოფი“ პოლიტიკურ ცხოვრებას არ დაუბრუნდება - რას ეტყვის საკუთარ ამომრჩეველს ან ხალხს?

იანუკოვიჩის პრობლემები სერიოზულია და მათ შექმნაში დასავლეთის ხელი ურევია. მას (დასავლეთს) სულაც არ აინტერესებს ტიმოშენკოს კორუმპირებულობის საკითხი. მას, ტიმოშენკოს დიდ პოლიტიკაში დაბრუნება სურს და როდესაც ასეთი მიდგომაა კორუმპირებულობის მიმართ, როდესაც კორუმპირებულობის ტიტულისგან წინასწარ დაცული არიან დასავლეთთან ჩახუტებული პოლიტიკოსები, მნელია ჭეშმარიტების პოვნა.

ტიმოშენკოს მაგალითი შემთხვევით არ მომიყვანია, რამეთუ სააკაშვილსა და მის „გუნდს“ ტიმოშენკოს დანაშაულზე მეტი თუ არა, ნაკლები არ ჩაუდენია. ჰოდა, გვაფრთხილებენ ჩვენი ამერიკელი თუ ევროპელი „კეთილისმსურველები“ - უკრაინის მაგალითი არ გაიმეოროთო და ჩვენც მორჩილად ვასრულებთ რჩევას, რომელიც ბრძანების ტოლფასია.

დავუბრუნდეთ ჩვენს „გმირს“. დასაწყისში აღვნიშნე, რომ იშვიათია ისეთი პოლიტიკოსი, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში სერიოზული თავსატეხვარი არ გასჩენია. სააკაშვილის თითქმის ათწლიანი მოღვაწეობა მხოლოდ პრობლემებით, ფათერაკებით, უმძიმესი ვითარებით იყო აღსავსე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ამ ფათერაკებს თვითონ ქმნიდა, რათა შემდეგ გადაეღახა. სხვას ვერაფერს იტყვი 2007 წლის შემოდგომის მოვლენებზე, მომიტინგეთა სასტიკ დარბევაზე, ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრაზე და ა.შ.

იმჟამად სააკაშვილმა ყველაზე მძიმე გზა აირჩია, თუმცა უალრესად დამაბული ვითარებიდან მაინც გამარჯვებული გამოვიდა - წარმატებით ჩაატარა რა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. ამ საქმეში მას მხარში ედგა აშშ-ს საელჩო, სახელმწიფო დეპარტამენტი, რესპუბლიკელი სენატორები და თვით პრეზიდენტი ჯორჯ ბუშ უმცროსი. სააკაშვილის მოხერხებულობას უნდა მიეწეროს მათი მიმხრობა.

ასეთი მხარდაჭერის შემდეგ არათუ ოპოზიციონერ პარლამენტარს ტალახში გორაობით დაემუქრები, ომსაც დაიწყებ და სხვა უბედურებასაც ჩაიდენ, რისი მოწმენიც გავხდით.

თითქმის ათწლიანი ფათერაკებით აღსავსე, ინფარქტის შემყრელი პოლიტიკური ცხოვრება სააკაშვილმა წარმატებით გაიარა. წინ მოკლე ტაიმ-აუტია. რა იქნება შემდეგ, ძნელი წარმოსადგენი არ არის. როგორც ჩანს სააკაშვილის სენს საერთო არაფერი აქვს სახადთან. ის მუდმივია. მუდმივ დაავადებას კი ქირურგიული ჩარევა უხდება და არა აბებით მკურნალობა.

ჰამლეტ ჭიპაშვილი